ეთიკის კომისიის
რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
კომისიის თავმჯდომარე - კონსტანტინე გელაშვილი
კომისიის წევრი - ანა ხურციძე
კომისიის წევრი - ანა ლორია

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი - 02.09.2021
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი - 007/21

I შეკითხვა:
ადვოკატი „ბ“ საქართველოში წარმოადგენს და იცავს არარეზიდენტი იურიდიული პირების: გემფლობელი/დამსაქმებელის და მისი პასუხისმგებლობის მზღვეველი, სადაზღვევო კლუბის (შემდგომში ერთობლივად - კლიენტი) ინტერესებს, გემზე საქმიანობის პერიოდში, საქართველოს მოქალაქე: კ.მ. გარდაცვალებით წარმოქმნილი სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საქმეზე.

გემფლობელს დაზღვეული ჰქონდა გემის ეკიპაჟის წევრების მიმართ შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე საკუთარი პასუხისმგებლობა. სადაზღვევო შემთხვევად მიჩნეულია: სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ან ავადმყოფობის შედეგად მეზღვაურის გარდაცვალება ან შრომისუნარიანობის დაკარგვა. დამსაქმებლის ასეთი ფინანსური პასუხიმგებლობა დადგენილია გემის დროშის ქვეყნის კანონმდებლობით.[1] დაზუსტებისათვის, ამ ტიპის სადაზღვეო ურთიერთობაში: დაზღვეულ პირს - წარმოადგენს დაზღვევის მოქმედების პერიოდში გემის ეკიპაჟის შემადგენლობაში მყოფი ნებისმიერი ის მეზღვაური, რომლის მიმართაც დადგება სადაზღვევო შემთხვევა.

სადაზღვევო პოლისში დაზღვეული პირები არ არიან ინდივიდუალურად იდენტიფიცირებული. ეს არის გემზე, კონკრეტულ პერიოდში დასაქმებული ეკიპაჟის წევრთა მიმართ გემფლობელის პასუხისმგებლობის ფინანსური გარანტია და არა ინდივიდუალურად, იდენტიფიცირებულ პირთა

[1] იგულისხმება, საერთაშორისო კონვენცია „საზღვაო ნაოსნობაში შრომის შესახებ“ MLC 2006 მასში შეტანილი: 2014, 2016 და 2018წ. ცვლილებებით. რომლის მონაწილეც არის გემის დროშის სახელმწიფო, საქართველო არ მონაწილეობს ამ კონვენციაში. https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:80001:0

სიცოცხლის დაზღვევა. პოლისში ასევე არ არის მითითება დაზღვეული ეკიპაჟის წევრთა მიერ დანიშნული ბენეფიციარების შესახებ. ეს გარემოება მნიშვნელოვანია კონკრეტულ საქმეზე სადაზღვეო ანაზღაურების გაცემის პროცედურის გასაგებად. გარდაცვლილი მეზღვაური იყო საქართველოს მოქალაქე, შესაბამისად კლიენტმა ადვოკატ „ბ“ -ს მიმართა საქართველოში სამართლებრივი დახმარების გაწევის მიზნით. კლიენტის დავალება მოიცავდა შემდეგს:

1. გამოსაყენებელი სამართლის საფუძველზე შეფასებულიყო სადაზღვეო ანაზღაურების გაცემის პირობები და ამ ანაზღაურების მიმღები პირი/პირები.
2. მომხდარიყო ანგარიშწორება, სადაზღვეო ანაზღაურების მიღებაზე უფლებამოსილ პირთან/პირებთან ისე, რომ კლიენტს არ წარმოქმნოდა შემდგომი სამართლებრივი შედავების/ან ზიანის მიღების რისკი.

დავალების შესასრულებლად ადვოკატს მიეწოდა: კ.მ -სთან გაფორმებული ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულება; დამსაქმებლის კოლექტიური შრომითი შეთანხმება (შემდგომში - კოლექტიური შეთანხმება) რომელიც ინკორპორირებული იყო მეზღვაურთან გაფორმებულ ინდივიდუალურ შრომით ხელშეკრულებაში. შენიშვნა: ეკიპაჟის წევრების მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისი ადვოკატს არ მიუღია.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

საქმის შესწავლისას ცნობილი გახდა, რომ: კ.მ. გარდაიცვალა 2021წლის იანვარში, საქართველოს ფარგლებს გარეთ, საავადმყოფოში, სადაც იგი გადაყვანილი იქნა გემიდან, კლიენტის მიერ, ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესების გამო. მიუხედავად ადეკვატური სამედიცინო დახმარებისა, რომლის ხარჯებიც დაფარა კლიენტმა, კ. მ. გარდაიცვალა. გარდაცვალებამდე, გარკვეული დროით მასთან იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი, მისი მეორე მეუღლე მ.კ.

კ. მ.-ს, როგორც საქართველოს მოქალაქის გარდაცვალებით საქართველოში ავტომატურად გაიხსნა სამკვიდრო საქმე, სამკვიდროში შემავალი უძრავი ქონების ასევე თავად გარდაცვლილის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილსამყოფელის მიხედვით. [2] გარდაცვლილს დარჩა სავარაუდო ერთი რიგის კანონისმიერი მემკვიდრეები:[3] პირველი ქორწინებიდან ორი სრულწლოვანი შვილი: მ.მ და გ.მ. აქედან გ.მ ბავშვობიდან შშმ პირი, რომელიც დღემდე იღებს შესაბამის სოციალურ დახმარებას; 81 წლის მარტოხელა მამა გ.კ., რომლიც იღებს მოხუცებულობის პენსიას, იმყოფება სოციალურად დაუცველ ოჯახების ბაზაში 62 000 სარეიტინგო ქულით და იღებს ყოველთვიურ დახმარებას სახელმწიფოსაგან და მეუღლე მეორე ქორწინებიდან - მ.კ. რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე. იგი გარდაცვლილთან ერთად ცხოვრობდა საქართველოში.

აღნიშნულ პირებს, უდავოდ გააჩნდათ თანაბარი, კანონისმიერი მოთხოვნები კ.მ-ს სამკვიდროზე. ასევე გააჩნდათ ლოგიკური იურიდიული ინტერესი სამკვიდროს გაზრდაზე იმ შესაძლო აქტივების ხარჯზე, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით შესაძლებელი იყო მოქცეულიყო სამკვიდროს მასაში. ერთადერთი ასეთი აქტივი იყო სადაზღვევო ანაზღაურება, რაზეც მოთხოვნა წარმოიშვა ასევე კ.მ-ს გარდაცვალებიდან. თუმცა იგი წარმოადგენდა დამოუკიდებელ სახელშეკრულებო მოთხოვნას, რომლის გაცემის წესი დადგენილი იყო დამსაქმებლის კოლექტიური შეთანხმებით. კერძოდ: შეთანხმების 26.1. მუხლის თანახმად, „თუ მეზღვაური არ დატოვებს დანიშნულ ბენეფიციარს,

[2] სამოქალაქო კოდექსის 1319, 1324 და 1325 მუხლები

[3] სამოქალაქო კოდექსის 1336 მუხლი.

სადაზღვეო ანაზღაურება უნდა აუნაზღაურდეს პირს ან ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია კანონით ან სხვა საფუძველზე, მართოს მეზღვაურის ქონება“.[4]

კლიენტის დავალება ითვალისწინებდა სწორედ წარმოქმნილი სახელშეკრულებო მოთხოვნის შესრულების ანუ სადაზღვევო ანაზღაურების ერთპიროვნულად მიღებაზე უფლებამოსილი პირის-ხელშეკრულებისმიერი ბენეფიციარის დადგენას და თანხის მასზე ანაზღაურებას. ასეთის ვერ დადგენის შემთხვევაში, სადაზღვევო ანაზღაურება მაღალი ალბათობით უნდა შესულიყო სამკვიდროში და განაწილებულიყო კანონისმიერ ბენეფიციარებს შორის. სწორედ ასე იქნა გაგებული, კოლექტიური შეთანხმების 26.1. მუხლის წინადადების მეორე ნაწილი.

ადვოკატმა მიიჩნია, რომ კ.მ-ს გარდაცვალებიდან წარმოშობილი კანონისმიერი (სამკვიდრო) მოთხოვნა და სახელშეკრულებო სადაზღვევო მოთხოვნა წარმოადგენდა ორ პარალელურ ფორმალურად დამოუკიდებელ სამართალურთიერთობას, რომლებიც რეგულირდებოდა სხვადასხვა სამართლით.[5] მიუხედავად იმისა, რომ კანონისმიერი მოთხოვნა გავლენას ახდენდა სახელშეკრულებო მოთხოვნის რეალიზებაზე, რაც საბოლოო ჯამში მივიდოდა სახელშეკრულებო მოთხოვნის მოქცევაზე, ქართული სამართლის იურისდიქციაში. პირველადი დასკვნის შესახებ ადვოკატმა წერილობით აცნობა კლიენტს, რომელსაც არ გამოუთქვამს რაიმე პრეტენზია ან საპირისპირო მოსაზრება.

განსხვავებული მოსაზრება გააჩნდა ადვოკატის პარტნიორს საადვოკატო ოფისში, რომელიც არ არის იურისტი, მაგრამ როგორც შორეული ნაოსნობის ყოფილ კაპიტანს და სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ყოფილ თანამშრომელს გამოცდილება ჰქონდა მეზღვაურის გარდაცვალებიდან წარმოშობილი სადაზღვეო ანაზღაურების განაწილების საკითხებში

დავალების შესრულების აღწერა:

საქმეში ჩართვის შემდგომ, (2021წ. თებერვალი) ადვოკატის პირველივე რეკომენდაციის საფუძველზე, კლიენტმა სრულად აუნაზღაურა მეორე მეუღლე - მ.კ.-ს გარდაცვლილი კ.მ.-ს გადმოსვენების და დაკრძალვის ხარჯები, მის მიერ მითითებული ოდენობით. ამ ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება გამომდინარეობდა საერთაშორისო კონვენციიდან MLC 2006; ცვლილებებით, რომლის მონაწილეც არის გემის დროშის სახელმწიფო (შემდგომში -კონვენცია).

ანაზღაურებამდე კლიენტს არ მოუთხვია გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები, რაც მიღებული პრაქტიკაა ასეთ შემთხვევებში. შვილებსა და მეორე ქორწინებიდან მეუღლეს შორის შესაძლო დაპირისპირების გათვალისწინებით, ადვოკატი ცალ-ცალკე შეხვდა და მოისმინა ყველა მხარის პოზიცია სადაზღვევო ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

---

[4] If the seafarer shall leave no nominated beneficiary, the aforementioned sum shall be paid to the person or body empowered by law or otherwise to administer the estate of the seafarer.

[5] საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის 55 მუხლის თანახმად, მემკვიდრეობითი ურთიერთობები წესრიგდება საქართველოს სამართლით. სახელშეკრულებო მოთხოვნა, კოლექტიური შეთანხმების 2.5. პ/ის თანახმად, რეგულირდებოდა გემის დროშის (პანამა) სახელმწიფოს კანონით.

პირველად ადვოკატი შეხვდა მეუღლეს მ.კ.-ს, რომელმაც განაცხადა, რომ მთელი სადაზღვევო ანაზღაურება, რომელიც შეადგენდა - 104,866 USD ეკუთვნოდა მას, როგორც მეზღვაურის მიერ Next Of Kin[6] -ად მითითებულ პირს.

ადვოკატმა განუმარტა რომ არ გააჩნდა ქალბატონის Next Of Kin -ად დანიშვნის მტკიცებულება, მაგრამ ასეთი რომც ყოფილიყო, ეს არ იყო საკმარისი, რომ ერთპიროვნულად ყოფილიყო სარგებლის მიმღები სახელშეკრულებო (სადაზღვევო) მოთხოვნიდან. ეს გამოიწვევდა დავას დანარჩენ მემკვიდრეებთან და პროცესი გაიწელებოდა დროში. ადვოკატმა შესთავაზა გამოსავალი, რომ ანაზღაურება განაწილებულიყო ზოგადად, პირველი რიგის მემკვიდრეებს შორის, ურთიერთშეთანხმებით. მ.კ. თავიდან დათანხმდა მესამედი თანხის დათმობაზე, მაგრამ მეორე მხარესთან შეხვედრამდე ადვოკატს დაუკავშირდა საყვედურებით, რომ მას ატყუებდა, რომ მან მიიღო კომპეტენტური კონსულტაცია და საერთაშორისო სამართლით მთელი თანხა მას ეკუთვნოდა. იგი არ იყო საქართველოს მოქალაქე, არ ევალებოდა ქართულ კანონებზე დამორჩილება. მოითხოვა თანხის სრულად მისთვის ანაზღაურება, რომლის შემდგომ თავად გადაწყვიტავდა, ვისთვის და რამდენი მიეცა.

მემკვიდრეთა მეორე ჯგუფთან შეხვედრა წარიმართა ერთ-ერთი შვილის და მათი ადვოკატის მონაწილეობით. მათ განაცხადეს, რომ როგორც მემკვიდრეებს გააჩნდათ უფლება მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან წარმოშობილ ანაზღაურებაზე, რადგან გარდაცვლილი სიცოცხლეში ზრუნავდა მათზე, მიუხედავად იმისა, რომ პირველ მეუღლესთან განქორწინებული იყო, ამასთან, ხანდაზმული მამა და შშმ შვილი ფაქტობრივად იყო გარდაცვლილის კმაყოფაზე. ასევე გამოთქვეს უკმაყოფილება,

[6] საზღვაო ნაოსნობაში შრომის მარეგულირებელ ILO (შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის) არცერთი მოქმედ კონვენციაში არ არის განმარტებული ტერმინი: Nex of Kin -ის იურიდიული შინაარსი და ასეთად დანიშნული პირის უფლება-მოვალეობანი. ზოგადი მიდგომით, Nex of Kin („ახლო ნათესავი“) ინგლისურ სამართალში ჩვეულებრივ განისაზღვრება, როგორც პირის უახლოესი სისხლით ნათესავი, რომელსაც შესაძლებელია ჰქონდეს ამ პირის მიმართ მემკვიდრეობითი უფლებები და მოვალეობები. „ახლო ნათესავი“ მნიშვნელოვანია მემკვიდრეობის უფლებების ადმინისტრირებისას, თუ პირი გარდაიცვალა ანდერძის გარეშე და არ ჰყავს მეუღლე და/ან შვილები. „ახლო ნათესავს“ შესაძლებელია ასევე გააჩნდეს ვალდებულება პირის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდგომ, მაგალითად „ახლო ნათესავს“ შესაძლებელია მოეთხოვოს: სამედიცინო გადაწყვეტილების მიღება, თუ პირი გახდება ქმედუუნარო, ან აიღოს საკუთარ თავზე პირის დაკრძალვა და მისი ფინანსური საქმეების მოწესრიგება, მისი გარდაცვალების შემთხვევაში. „ახლო ნათესავობის“ და მემკვიდრეობის სპეციფიკა განსხვავდება იურისდიქციების მიხედვით. ამასთან არსებობს ზოგადი წესი, რომ სადაზღვევო პოლისებიდან და საპენსიო ანგარიშებიდან თანხები შესაძლებელია გადავიდეს მხოლოდ ამ დოკუმენტებით განსაზღვრულ ბენეფიციარებზე, მიუხედავად იმის ვინაა „ახლო ნათესავი“ და თუნდაც ანდერძში გათვალისწინებული პირები.

ზოგიერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში (მაგ. უკრაინა, რუსეთი) საზღვაო სფეროში კომპენსაციის გაცემის 2008-2016 წ. პრაქტიკაში, „ახლო ნათესავი“ განმარტებულია ფართო გაგებით და მას უთანაბრებენ სიცოცხლის დადაზღვევიდან თანხების მიღებაზე უფლებამოსილ ბენეფიციარს. ქართულ სამართალში Nex of Kin -ის შინაარის კერძო სამართალურთიერთობის სახეობა არ არებობს. ვერ იქნა ასევე მოპოვებული, Nex of Kin -თან დაკავშირებული რაიმე დავის საქართველოში წარმოების შესახებ მასალები. რაც შეეხება პრაქტიკას, რამდნჯერმე გვქონდა მეზღვაურის გარდაცვალებიდან წარმოქმნილი სადაზღვეო ანაზღაურების რეგულირების შემთხვევა. როგორც წესი, Nex of Kin -ის სტატუსით მეზღვაური უთითებს, პირველი რიგის რომელიმე მემკვიდრეს. ყოფილა შემთხვევა რომ მითითებული იყო რამდენიმე პირველი რიგის მემკვიდრე. მაგრამ ძირითადად მითითებულია ერთი პირი, რომელიც თავად აგვარებს ურთიერთობას სხვა მემკვიდრეებთან. სხვადასხვა, მათ შორის, ნორმატიული წყაროებიდან (იგულისმხება: კონვენცია „საზღვაო ნაოსნობაში შრომის შესახებ“ MLC 2006 მასში შეტანილი: 2014, 2016 და 2018წ. ცვლილებებით.) მოპოვებული მასალების ანალიზით ჩამოგვიყალიბდა მიდგომა, რომ Nex of Kin -ის უფლებამოსილებები ძირითადად უკავშირდება პირის მკურნალობასთან და დაკრძალვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო ანდერძის არარსებობის შემთხვევაში ადმინისტრატორის ფუნქციის შესრულებას, მათ შორის, აქტივების მოძიებას დაცვას და ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით განაწილების ხელშეწყობას. მიუხედავად ამისა, ეს სტატუსი თავისთავად არ უთანაბრდება, სადაზღვეო თანხის მიმღები ბენეფიციარის უფლებამოსილე ბას. ასეთისათვის უნდა არსებობდეს, უფლების მიმცემის (ბენეფიციარის დამნიშნავი პირის გამოხატული ნება)

რომ მეორე მეუღლემ გარდაცვლილი დაკრძალა ისე, რომ ყოველმხრივ შეუშალა ხელი სამგლოვიარო რიტუალში მათ მონაწილეობას. განაცხადეს ასევე რომ სადაზღვევო ანაზღაურება უნდა მიკუთვნებოდა სამკვიდროს და განაწილებულიყო ყველა მემკვიდრეს შორის, სამკვიდროს მიღების ექვსთვიანი ვადის ამოწურვის შემდგომ. თუ სამკვიდროს მიღებამდე შეთანხმდებოდნენ მ.კ.-სთან, მაშინ თანახმა იყვნენ სადაზღვევო თანხის ნახევარის (52 433 USD) მიღებაზე.

მიუხედავად რამდენიმე მცდელობისა, მხარეებთან ვერ შედგა შეთანხმება თანხის განაწილებაზე. მ.კ. აცხადებდა პრეტენზიას სრულ თანხაზე. საკუთარი უფლებების აღიარების მიზნით მ.კ.-მ წარმოადგინა საკრუინგო (მეზღვაურის) დამსაქმებელი ქართული კომპანიის სააპლიკაციო ფორმა, სადაც მითითებული იყო გარდაცვლილი კ.მ-ს დემოგრაფიული და პროფესიული კომპეტენციის მონაცემები. გრაფაში: Nex of Kin - მითითებული იყო მ.კ.-ს სააპლიკაციო ფორმა, რომელიც არ იყო მეზღვაურის მიერ დამოწმებული, მიუხედავად იმისა, რომ ითვალისწინებდა აპლიკანტის ხელმოწერას. ამდენად, დოკუმენტი არ იქნა მიჩნეული სარწმუნოდ.

რეგულირების პროცესის გაგრძელების მიზნით, მხარეებს ადვოკატმა მისცა რეკომენდაცია, მიემართათ უფლებამოსილი ნოტარიუსისათვის, დადგენილი წესით სამკვიდრო მოწმობების მისაღებად. პირველად, ნოტარიუსს მიმართა მ.კ.-მ, მოგვიანებით კი იმავე ნოტარიუსს მიმართეს ასევე: მ.მ. ; გ.მ და გ.მ-მ.

საბოლოოდ, ოთხივემ წარმოადგინა წინასწარი სანოტარო აქტების ასლები, რომლითაც დასტურდებოდა მათ მიერ განცხადებების წარდგენა. რადგან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება მხარეთა შორის, სამკვიდროს მიღებამდე სადაზღვევო თანხის განაწილებაზე, კლიენტთან ადვოკატი შეთანხმდა რომ სადაზღვევო ანაზღაურება სრულად უნდა ჩარიცხულიყო ნოტარიუსს სადეპოზიტო ანგარიშზე. სამკვიდრო მოწმობის გაცემამდე დანიშნულ (ხელშეკრულებისმიერი) ბენეფიციარის გამოვლენის შემთხვევაში, თანხა გადაეცემოდა ამ პირს. სხვა შემთხვევაში, თანხა განაწილდებოდა მემკვიდრეებს შორის, სამკვიდრო მოწმობების საფუძველზე, უშუალოდ ნოტარიუსის მიერ.

დეპოზიტის მიღება/განაწილების დაზუსტების პროცესში ნოტარიუსმა განაცხადა, რომ მისი ანგარიში იყო დაყადაღებული და ვერ შეძლებდა თანხის უსაფრთხო შენახვას. დეპოზიტის განთავსების ალტერნატივების განხილვის პროცესში კლიენტთან ერთად ადვოკატმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ სადაზღვევო ანაზღაურება ჩაირიცხებოდა საადვოკატო ოფისის ცალკე საბანკო/სადეპოზიტო ანგარიშზე, რომელიც სპეციალურად გაიხსნა ამ ოპერაციისათვის. ჩარიცხული თანხა განთავსდა კომპანიის სხვა ფულადი სახსრებისაგან დამოუკიდებლად.

პარალელურად, გრძელდებოდა მ.კ-სთან დაძაბული კომუნიკაცია/დისკუსია, Nex of Kin -ის საკითხებზე, რომლის მიზანი იყო ჩვენი დარწმუნება, რომ ის იყო ერთადერთი უფლებამოსილი პირი სადაზღვევო თანხის მიღებაზე და რომ დაყოვნებით ვლახავდით მის უფლებებს. მ.კ სხვადასხვა გზით ცდილობდა ზემოქმედება მოეხდინა უშუალოდ ჩვენს კლიენტზეც, მათ შორის სოციალური ქსელებით, რის გამოც კლიენტი პერიოდულად ითხოვდა წერილობით განმარტებებს, მ.კ.-ს მიერ წამოჭრილ საკითხებზე.

დავის რეგულირების პროცესთან ერთად, ადვოკატი ეცნობოდა უახლოეს საერთაშორისო პრაქტიკას და საერთაშორისო სამართლის წყაროებს, Nex of Kin-ის საკითხებზე. ამასთან დაკავშირებით, კოლეგასთან ერთად ადვოკატმა ჩაატარა ერთობლივი კვლევაც[7] . საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ, რომ : სადაზღვევო ანაზღაურების მიღებაზე უფლებამოსილი პირი (სუბიექტი) უნდა განსაზღვრულიყო, ხელშეკრულებისმიერი (იგულისხმება -კოლექტიური შეთანხმება) და კანონისმიერი (იგულისხმება კონვენცია MLC 2006; 2014, 2016 და 2018წ. ცვლილებებით. დებულებების საფუძველზე.

კოლექტიური შეთანხმების 26.1. მუხლით დასტურდებოდა, რომ სრული სადაზღვევო ანაზღაურების მიღებაზე უფლებამოსილი იყო მეზღვაურის დანიშნული ბენეფიციარი (Nominated /designated beneficiary) და არა სხვა პირი. მათ შორის არც - Nex of Kin. უფრო მეტიც, იმავე შეთანხმებაში ტერმინი - Nex of Kin გამოყენებული იყო ორ სხვადასხვა მუხლში (18.3 и 19.3 (b)[8] . სხვა, (Nominated /designated beneficiary) - ისგან განსხვავებული დანიშნულებით. ტერმინი - (Nominated /designated beneficiary) გამოყენებული იყო, მხოლოდ 26.1. მუხლში. (იხ. მე-2 სქოლიო) რაც უდავოდ ადასტურებდა, რომ CBA 2019-2022 -ში ეს ორი ტერმინი არ წარმოადგენდა იდენტური იურიდიული შინაარის მქონე ცნებებს. ამდენად, Nex of Kin -ის და Nominated /designated beneficiary -უფლებებში გათანაბრება მოკლებული იყო ყოველგვარ სახელშეკრულებო საფუძველს.

MLC 2006 მასში შეტანილი: 2014წ. ცვლილებებით, რომელიც ამოქმედდა 2017წ. იანვრიდან, დადგებილია შემდეგი: a) კონვენციის A4.2.1. სტანდარტი მე-8 პუნქტის „e“ პ/ის თანახმად: “ხელშეკრულებით გათვალისწინებული (იგულისხმება სადაზღვევო ხელშეკრულებით) ანაზღაურების მოთხოვნა შეიძლება წარედგინოს, უშუალოდ მეზღვაურის, ან მისი ახლო ნათესავის ან მეზღვაურის წარმომადგენლის ან დანიშნული ბენეფიციარის მიერ”[9] .

b) B4.2.2 სტანდარტის 1 პ/ის თანახმად: 1.ეროვნული კანონებმა ან რეგულაციებმა უნდა უზრუნველყოს, რომ მხარეები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან გადახდების განხორციელებაზე სახელშეკრულებო მოთხოვნებიდან, შეუძლიათ გამოიყენონ ხელწერილის ტიპიური ფორმა, თანხების მიღებისა და გადაცემის შესახებ. მოცემულია დანართში B4-I.[10]

[7] დაინტერესების შემთხვევაში შესაძლებელი მისი წარმოდგენა

[8] 18.3. The company shall take measures for safeguarding property left on board by sick, injured or deceased seafarers and for returning it to them or to their next of kin. 19.3. A Seafarer to whom this Agreement applies may terminate employment: […] b) when, during the course of a voyage it is confirmed that the spouse, partner (when nominated by the Seafarer as the next of kin), parent or dependent child has fallen dangerously ill or died;

[9] Standard «A4.2.1». paragraph 8. National laws and regulations shall provide that the system of financial security to assure compensation as provided by paragraph 1(b) of this Standard for contractual claims, as defined in Standard A4.2.2, meet the following minimum requirements: ……. (e) the claim for contractual compensation may be brought directly by the seafarer concerned, or their next of kin, or a representative of the seafarer or designated beneficiary

[10] Guideline B4.2.2 – Treatment of contractual claims National laws or regulations should provide that the parties to the payment of a contractual claim may use the Model Receipt and Release Form set out in Appendix B4-I.

c) დანართი B 4-I ხელწერილის ტიპიური ფორმა თანხების მიღებისა და გადაცემის შესახებ[11], დოკუმენტის მხარეებად მითითებულია: ერთი მხრივ გემფლობელი და მეორე მხრივ: მეზღვაური, კანონისმიერი მემკვიდრე და/ან მის კმაყოფაზე მყოფი პირი. - Nex of Kin მითითებული არაა[12]

ხელშეკრულებისმიერ და კანონისმიერ ნორმათა განზოგადებით ადვოკატს ჩამოუყალიბდა პოზიცია, რომ: Nex of Kin (ახლო ნათესავი) და Nominated /designated beneficiary (დანიშნული ბენეფიციარი,) წარმოადგენს ერთმანეთისაგან განსხვავებული სუბიექტებს. რაც ნიშნავს, ამ ორი ტერმინის ერთმანეთისაგან იურიდიულად გამიჯვნას. ამდენად, რომც დადგენილიყო სარწმუნოდ მ.კ.-ს Nex of Kin სტატუსი, იგი მაინც არ იქნებოდა უფლებამოსილი ერთპიროვნულად მიეღო სადაზღვეო ანაზღაურება. ასეთზე ერთადერთი უფლებამოსილი პირი იყო: მეზღვაურის მიერ დანიშნული ბენეფიციარი (Nominated /designated beneficiary).

დადგინდა პრეზუმფცია, რომ მეზღვაურის მიერ დანიშნულ ბენეფიციარად ვერ ჩაითვლებოდა პრეტენზიის გამცხადებელი რომელიმე პირი, სანამ სათანადო მტკიცებულებით იგი არ დაადასტურებდა რომ იგი იყო ასეთი. პრეზუმფციის დაძლევის და დანიშნულ ბენეფიციარად ყოფნის მტკიცების ტვირთი გადავიდა მ.კ-ზე. რის შესახებაც მას ეცნობა.

მნიშვნელოვანია, რომ კოლექტიური შეთანხმება არ ზღუდავდა, რა ფორმით და როდის უნდა ყოფილიყო მეზღვაურის მიერ ბენეფიციარი დანიშნული. აუცილებელი არ იყო ასეთზე მითითება ყოფილიყო, აუცილებლად სააპლიკაციო ფორმაში. (როგორც Nex of Kin -ის შემთხვევაში) უფრო მეტიც, ეს არ იქნებოდა სწორი, რადგან მეზღვაური არ უნდა ყოფილიყო შეზღუდული ბენეფიციარის შეცვლის შესაძლებლობაში, თუ ამის ობიექტურ საჭიროებას დაინახავდა.

ამდენად, ბენეფიციარის დანიშვნა უნდა ყოფილიყო ცალმხრივი ან ორმხრივი ნების გამოხატვის ფორმით გაფორმებული გარიგება, რომლის ნამდვილობა და იურიდიული ძალა უნდა შეფასებულიყო, კოლექტიური შეთანხმებისადმი გამოსაყენებელი სამართლით, იგივე გემის დროშის სამართლით. ამდენად, იმისათვის რომ დაეძლია პრეზუმფცია, მ.კ-ს უნდა წარმოედგინა, გარდაცვლილი მეზღვაურის ნების გამომხატველი წერილობითი დოკუმენტი, რომელშიც ნათლად იქნებოდა მითითებული, რომ მ.კ დანიშნული იყო ბენეფიციარად, კოლექტიური შეთანხმებით გათვალისიწნებული, სადაზღვეო ანაზღაურების მიღებაზე. ასეთი დოკუმენტი, იურიდიულ ძალის უნდა ყოფილიყო გემის დროში სამართლის საფუძველზე.

დოკუმენტის წარმოდგენა ფორმალურად შესაძლებელი იყო, საქართველოში გახსნილ სამკვიდრო საქმეზე, მემკვიდრეებისათვის სამკვიდრო მოწმებების გაცემამდე. (სამკვიდროს მიღების ექვსთვიან ვადაში) ამ ვადის ამოწურვის შემდგომ, სადაზღვევო ანაზრაურების გაცემის რეგულირება გამოდიოდა გემის დროში სამართლის იურისდიქციიდან, რადგან კოლექტიური შეთანხმების 26.1. მუხლში

[11] I, [Seafarer] [Seafarer's legal heir and/or dependant]* hereby acknowledge receipt of the sum of [currency and amount] in satisfaction of the Shipowner'sobligation to pay contractual compensation for personal injury and/or death under the terms and conditions of [my] [the Seafarer's]* employment and I hereby release the Shipowner from their obligations under the said terms andconditions

[12] ტექსტში მოყვანილი შესაძლო მიმღებების ჩამონათვალი განსაზღვრავს, თანხის მიღებაზე უფლებამოსილ პირთა იერარქიულ თანმიმდევრობას. შენიშვნის თანახმად, ჩამოთვლილ პირთაგან რჩება, იერარქიულად უფლებამოსილი ის კონკრეტული პირი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს დოკუმენტის გაფორმებაში, დანარჩენი ამოიშლება.

არსებული დათქმის საფუძველზე, იგი უნდა აუნაზღაურდებოდა პირს ან ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია კანონით ან სხვა საფუძველზე, მართოს მეზღვაურის ქონება.

სამოქალაქო კოდექსის 1319; 1325; 1328 მუხლების და საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის 55-ე მუხლის საფუძველზე სადაზღვევო ანაზღაურება ხდებოდა საქართველოში გახსნილი სამკვიდრო საქმეზე, სამკვიდრო ქონებაში შემავალი აქტივი ექცეოდა საქართველოს კანონმდებლობის იურისდიქციაში და განაწილდებოდა კანონისმიერ მემკვიდრეებზე (კანონით ბენეფიციარებზე) სამკვიდრო მოწმობებში მითითებული პროპორციით. კონკრეტულ შემთხვევაში, სახეზე იყო ერთი და იმავე რიგის კანონისმიერი მემკვიდრეები, ამდენად, სადაზღვევო ანაზღაურება განაწილდებოდა თანაბარწილად. წარმოდგენილი შეფასებით/პოზიციით, ფაქტობრივად შესრულდა კლიენტის დავალების პირველი ნაწილი, რის შესახებაც მას ადვოკატმა აცნობა წერილობით. შესაბამისი განმარტებები მიეცათ ასევე მხარეებს.
ადვოკატი ცდილობდა შენარჩუნებულიკო კონსტრუქციული ბალანსი მ.კ-ს-თან. სამკვიდრო მოწმობის მიღებამდე თითქმის სამი თვით ადრე, (მაისში) წერილობით ადვოკატმა აცნობა, რომ იმ დროსათვის არ არსებობდა თანხის მიღებაზე მისი ექსკლუზიური უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი და თუ ასეთი არსებობდა, მას უნდა წარმოედგინა. ასევე განუმარტა, რომ ფორმალურად, ექვსთვიანი ვადის გასვლამდე, მისი ბენეფიციარად დანიშვნის დოკუმენტის ვერ მოპოვების შემთხვევაში, თუ იგი ასეთ დოკუმენტს მოიპოვებდა სადაო თანხის მემკვიდრეებს შორის განაწილების შემდგომ, იგი მაინც ინარჩუნებდა, მისი კომპენსირების კანონიერ უფლებას, სასამართლო გზით საქართველოში. კერძოდ, აღძრავდა სარჩელს დანარჩენი მემკვიდრეების წინააღმდეგ, „უსაფუძვლო გამდიდრების“ წესების მიხედვით რაც დიდი ალბათობით დაკმაყოფილდებოდა.

მ.კ.ს ადვოკატისთვის რაიმე დამატებითი დოკუმენტი არ წარმოუდგენია, პირიქით შეწყვიტა ყოველგვარი კონტაქტი და დაემუქრა სამართლებრივი დევნით. ამ პერიოდში საადვოკატო ოფისს დაუკავშირდა რამდენიმე ქართველი კოლეგა, რომლებიც განიხილავდნენ მ.კ-ს შესაძლო ადვოკატირებას. ინფორმაციის გაზიარების შემდგომ, მათ აღარ მიუმართავთ.

მოგვიანებით, კონფლიქტში ასევე ჩაერთო საქართველოს მეზღვაურთა პროფესიული კავშირის წარმომადგენლები, რომლებიც პარალელურად ასრულებენ, ტრანსპორტის მუშაკთა საერთაშორისო პროფესიული კავშირის (ITF) ინსპექტორის ფუნქციებს.

პროფესიულ კავშირებს დახმარებისათვის მიმართა მ.კ.-მ აღნიშნულ ჯგუფთან საადვოკატო ოფისს აკავშირებდა მრავალწლიანი თანამშრომლობის გამოცდილება, ისინი პერიოდულად მიმართავდნენ იურიდიულ დახმარებაზე. მიუხედავად ამისა, ჩვენს ოფისში გამართულ შეხვედრაზე ცალსახად დაიკავეს მ.კ-ს მხარე და დაადანაშაულეს მიკერძოებაში, რომ: (ციტატა) „დაზღვევის თანხა იძულებით მიაქციეს საქართველოს სამართალში, რომ მემკვიდრეობასთან ერთად გაყოფილიყო რაც არასწორი იყო, რადგან იგი ეკუთვნოდა Nex of Kin მ.კ - ს .“ ადვოკატმა განუმარტა რომ თუ ადრე ხდებოდა მსგავსი რამ, 2017 წ. იანვრიდან, როდესაც MLC 2006 კონვენციის 2014 ცვლილებები ძალაში შევიდა, ეს არ იყო კანონიერი, რომ ერთადერთი სარგებლის მიმღები, შესაძლებელია ყოფილიყო მხოლოდ მეზღვაურის მიერ დანიშნული ბენეფიციარი.

მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ (ITF) ქართული ოფისი ინსპექტორის მიმართვით, საქმეში ჩაერთო (ITF) ის აღმოსავლეთ ევროპის ოფისი (სანკტ პეტერბურგი) მ.კ.-ს ინტერესების დაცვის მიზნით.

ივლისის ბოლოს, ადვოკატისთვის ცნობილი გახდა, რომ ოთხივე კანონისმიერმა მემკვიდრემ მიიღო სამკვიდრო მოწმობა, რითაც კანონისმიერ ბენეფიციართა უფლებები, იურიდიულად იქნა აღიარებული.
ამ პერიოდისათვის ისევ არ გააჩნდათ რაიმე წერილობითი ფოკუმენტი, რომლითაც დადგინდებოდა, ხელშეკრულებისმიერი (დანიშნული) ბენეფიციარი სადაზღვაო ანაზღაურების მიღებაზე. ამდენად, არ არსებობდა საფუძველი, რომ აღნიშნული თანხა არ მიკუთვნებოდა სამკვიდროს, მითუმეტეს, სამკვიდრო მოწმობებში ცალსახად იყო მითითება, რომ იგი მოიცავდა უფლებებს ყველა ქონებაზე, სადაზღვევო ანაზღაურების ჩათვლით.

სამი მემკვიდრის მინდობილმა ადვოკატმა ადვოკატ „ბ“-ს წარუდგინა მისი მხარის მოწმობები და მოითხოვა დაზღვევიდან მათი წილის ანაზღაურება. პასუხად ოთხივე მემკვიდრეს გაეგზავნა ერთი და იმავე შინაარის წერილობითი შეტყობინება, მემკვიდრესთან გასაფორმებელ, წერილობითი შეთანხმების პროექტთან ერთად. მასალების გაცნობის შემდგომ, ზემოდ ხსენებულმა სამმა მემკვიდრემ თანხმობა განაცხადა დაემოწმებინათ მათი წილის მიღების შესახებ შეთანხმება და მიეღოთ იგი საბანკო ანგარიშზე.
05/08/2021წ. სამმა მემკვიდრემ გააფორმა ნოტარიუსში ორმხრივი შეთანხმება სადაზღვევო ანაზღაურებიდან საკუთარი წელის მიღებაზე და ფაქტობრივად მიიღო კუთვნილი თანხები.

მეოთხე მემკვიდრემ - მ. კ.-მ წერილობით უარი განაცხადა საკუთარი წილის მიღებაზე და ითხოვს სადაზღვევო ანაზღაურების სრულ თანხას. იმავე საფუძვლით, რომ არის - Nex of Kin. -ად დანიშნული და შესაბამისად მთელი თანხის მიღებაზე უფლებამოსილი.

მ. კ. -მ მიიჩნია, რომ საქართველოში დავის აღძვრა მისთვის უპერსპექტივო იყო და გადაწყვიტა იდაოს საქართველოს ფარგლებს გარეთ. ამ მიზნით, (ITF) ის აღმოსავლეთ ევროპის ოფისის დახმარებით[13], მან ინგლისში აიყვანა ადვოკატი. ინგლისელმა ადვოკატმა საპრეტენზიო წერილით მიმართა ადვოკატ „ბ“-ს კლიენტს და მოთხოვა: მთელი სადაზღვევო თანხა და მისი, რვა თვიანი დაგვიანების სარგებლის სულ 108 201,15 აშშ დოლარის ანაზღაურება.

წერილი ადვოკატს გაეგზავნა პასუხისათვის. მიუხედავად იმისა, რომ კლიენტისთვის იურიდიული მომსახურება საქართველოს ფარგლებში მოიცავდა, ადვოკატმა მოამზადა და გააგზავნა პრეტენზიაზე დასაბუთებული უარყოფა, რაც არსებითად მოიცავდა წინამდებარე დოკუმენტში მოყვანილ ფაქტებს და სამართლებრივ შეფასებებს. რამდენიმე დღეში ადვოკატმა ისევ მიიღო ინგლისელი ადვოკატისგან წერილი, რომლითაც არ დაეთანხმა არგუმენტებს Nex of Kin -თან და სადაზღვეო ანაზღაურების საკითხებში ქართული სამართლის გამოყენების საფუძვლიანობასთან დაკავშირებით. ამ წერილზე ისევ გააგზავნა ადვოკატმა კიდევ უფრო მეტად დასაბუთებული წერილი, რომელზედაც პასუხი ჯერ არ არის.

[13] ინფორმაცია გვაცნობა ITF -ის ქართულმა ოფისმა.

შეჯამება: ადვოკატ „ბ“-ს პოზიციით, მის მიერ გაწეული იურიდიული მომსახურეობა შეესაბამებოდა: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე- 3 მუხლით დადგენილ საადვოკატო საქმიანობის შემდეგ პრინციპებს: ა) კანონიერება; ბ) სამართლის უზენაესობა და მართლმსაჯულების სამართლიანად განხორციელება;

ქართულ სამოქალაქო სამართალში Nex of Kin -თან დაკავშირებული, კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების, ასევე სასამართლო პრაქტიკის არ არსებობის გამო, დავის რეგულირების ფორმულა, რომელიც კლიენტთან შეთანხმების განხორციელდა, ადვოკატის განმარტებით, შეესაბამებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი: კეთლსინდისიერების, გონივრულობის და სამართლიანობის სტანდარტს, ზღუდავდა, უფლების ბოროტად გამოყენებას და პირიქით უზრუნველვყოფდა იურიდიული ინტერესის მქონე კეთილსინდისიერი პირების კანონიერ უფლებათა მართლზომიერად რეალიზაციას. ამასთან იგი არ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს საჯარო წესრიგს.

რეგულირების წარმოდგენილი მოდელი არ ეწინააღმდეგებოდა ასევე არც კლიენტის ინტერესებს, რადგან მისი მიზანი არ იყოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა, რომელიმე კონკრეტულ პირზე. პირიქით, დავალებული ჰქონდა მისი გაცემა კანონისმიერად დადგენილ სათანადო პირებზე. ამით იგი გამოხატავდა სოლიდარობას მის გარდაცვლილი თანამშრომლის ოჯახის და გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფი პირების მიმართ, რაც წარმოადგენს იმ სოციალური პასუხისმგებლობის გაგრძელებას, რაც დადგენილია კოლექტიური შეთანხმებით.

მიუხედავად ამისა, კლიენტის დავალებით გათვალისწინებული რეგულირების ერთ-ერთი მონაწილე არ აღიარებს შედგებს და აპირებს საქართველოს ფარგლებს გარეთ დავის აღძვრას კლიენტის წინააღმდეგ, რომლის ფარგლებშიც, სავარაუდოდ გამოიყენებული იქნება ასევე უზრუნველყოფის ზომებიც. დავის ფაქტობრივი საფუძვლების და გამოსაყენებელი სამართლის გათვალისწინებით, დავა სავარაუდოდ ვერ დაძლევს წარმოებაში მიღების ეტაპს და იქნება უპერსპექტივო, თუმცა გარკვეულ ეტაპამდე საჭირო იქნება კლიენტის ინტერესების დაცვა და სხვა შესაძლო დამატებითი ხარჯების გაწევა.

ასეთ შეთხვევაში, შესაძლებელია სადაო გახდეს, ადვოკატის მიერ კლიენტის დავალების ჯეროვნად შესრულების საკითხი - რადგან კლიენტს წარმოექმნა სამართლებრივი შედავების და მასთან დაკავშირებით ხარჯების გაწევის რისკი. თეორიულად, შესაძლებელია კლიენტმა ამასთან დაკავშირებით ადვოკატს მიმართოს პრეტენზიით. საქმე ჯერ აქამდე არ მისულა, მაგრამ მოვლენათა ცუდი სცენარით განვითარების შემთხვევაში, ხომ არ აქვს ადვოკატს დარღვეული საადვოკატო მომსახურეობის რომელიმე კანონისმიერი ვალდებულება ან პროფესიული ეთიკის სტანდარტები. გთხოვთ, წარმოდგენილ საკითხებზე დასაბუთებულ რეკომენდაციას.

II ანალიზი:

შეკითხვის ავტორი ითხოვს მის მიერ განსაზღვრული დაცვის სტრატეგიის შედეგიანობის და ეფექტიანობის შეფასებას, რაც სცილდება ეთიკის კომისიის კომპეტენციის ფარგლებს. რეკომენდაციის ფარგლებში, ეთიკის კომისია შეკითხვაში წარმოდგენილ ჰიპოთეტურ ფაქტებზე დაყრდნობით განმარტავს ეთიკის კოდექსის ნორმებს (ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და

დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება, მუხლი 41.1). ეთიკის კომისია ვერ შეაფასებს ადვოკატის მიერ განსაზღვრული ქმედებების შედეგიანობას. ადვოკატი დამოუკიდებლად განსაზღვრავს დაცვის სტრატეგიას, რომელსაც ათანხმებს კლიენტთან.

შეკითხვაში ასახულია საქმის წარმართვის სტრატეგია, რომელიც ადვოკატის პოზიციით, შესაძლებელია სასარგებლო იყოს თავისი კლიენტების ინტერესებისთვის. შეკითხვის ავტორი მიუთითებს, რომ სადავო საკითხია, თუ ვინ არის სადაზღვევო ანაზღაურების მიმღები - მეზღვაურის რომელი მემკვიდრე უნდა იყოს აღნიშნული ანაზღაურების ბენეფიციარი. კოლეგია განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული საკითხების სამართლებრივი შეფასება, მათ შორის მსჯელობა იმის თაობაზე, კლიენტისთვის დავა რამდენად პერსპექტიულია და რა კონსულტაცია უნდა მისცეს ადვოკატმა, წარმოადგენს ადვოკატის საქმის წარმართვის სტრატეგიას, რომლის შეფასება არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში. ადვოკატი დამოუკიდებელია მის მიერ შერჩეული ტაქტიკის განსაზღვრისას.

შეკითხვა ეხება ადვოკატის მიერ გაწეულ საადვოკატო მომსახურების ხარისხის შეფასებას, სამართლებრივი კონსულტაციის მოთხოვნას კომისიისგან, მათ შორის, რამდენად სწორი მიმართულებით წაიყვანა ეს სპეციფიკური დავა და კლიენტი ხომ არ განუცხადებს პრეტენზიას თუ მიაწვდის ინფორმაციას წინსწრებით საქმის სავარაუდო პერსპექტივის შესახებ და იმ რისკებს განუმარტავს, რაც სამომავლოდ საქმეზე გასაწევ ხარჯს უკავშირდება. შესაბამისად, კომისია ვერ შეაფასებს ადვოკატის მიერ საქმის წარმართვის სტრატეგიის შედეგიანობას და ეფექტიანობას, თუმცა, აქვე განმარტავს, რომ ადვოკატის მიერ განსაზღვრული დაცვის სტრატეგია წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული კლიენტთან და უნდა იყოს კანონისა და პროფესიული სტანდარტების შესაბამისი.

კოლეგიის შეფასებით, ადვოკატის ქმედებების აღმწერი ჰიპოთეტური ფაქტები აგრეთვე, შესაფასებელია ინტერესტთა კონფლიქტის არიდების პროფესიული ვალდებულების ფარგლებში:

> ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 8.1).
>
> ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.1).

„ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანია ადვოკატმა თავი აარიდოს შემთხვევებს, როდესაც შესაძლოა საფრთხის ქვეშ დადგეს ერთ-ერთის ინტერესი“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის, შემდეგში „ეთიკის კომისია“, 20.04.2011 წლის გადაწყვეტილება, საქმე #015/10).

„ადვოკატმა კლიენტის წარმომადგენლობისას თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს და კლიენტი უნდა წარმოადგინოს ისე, როგორც კლიენტი იმოქმედებდა საკუთარი ინტერესების შესაბამისი ცოდნის, უნარისა და დროის არსებობის შემთხვევაში…“ (ეთიკის კომისიის 08.01.2013 წლი გადაწყვეტილება, საქმე #100/11).

მიუხედავად იმისა, რომ შეკითხვა არ ეხება ინტერესთა კონფლიქტის განმარტებას, კოლეგია მნიშვნელოვნად მიიჩნევს შეაფასოს ადვოკატის მიერ შეკითხვაში მითითებული ჰიპოთეტური ფაქტები - აღნიშნული პროფესიული ვალდებულების ფარგლებში.

შეკითხვაში მითითებული ფაქტების მიხედვით, ადვოკატი საადვოკატო მომსახურებას უწევს ერთდროულად როგორც გემფლობელს, აგრეთვე, სადაზღვევო კომპანიას და მათ მოიხსენიებს როგორც ერთ „კლიენტს". მხარეთა შორის არსებული ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გემფლობელის, როგორც დამსაქმებლის მიერ სადაზღვევო კომპანიის მეშვეობით ხორციელდება ანაზღაურების გაცემა, მათ შორის შეკითხვაში მოცემულ შემთხვევაშიც, საკითხი ეხება მეზღვაურის გარდაცვალებით წარმოშობილი სადაზღვევო ანაზღაურების გაცემას.

გემფლობელისა და სადაზღვევო კომპანიის საერთო მიზანი არის სადაზღვევო ანაზღაურების საკითხის მოგვარება, თუმცა მათი ინტერესები სხვადასხვაა - გემფლობელის, როგორც დამსაქმებლის და სადაზღვევო კომპანიის, როგორც ზიანის ამნაზღაურებლის. შესაბამისად, ადვოკატის მიერ ერთდროულად ერთი შეთანხმების ორივე მხარისთვის საადვოკატო მომსახურების განხორციელება, მიუხედავად მათი თანხმობისა წარმოადგენს შეუთავსებელ ურთიერთობას.

ადვოკატმა უნდა აიცილოს ამგვარი წარმომადგენლობით გამოწვეული ინტერესთა კონფლიქტი. ორივე მხარე, როგორც გემფლობელი, აგრეთვე, სადაზღვევო კომპანია ცდილობს თავისი ინტერესი იყოს უფრო „მომგებიანი". ორივე მხარისგან ადვოკატი იღებს საქმესთან დაკავშირებულ ინფორმაციას და ამგვარი წარმომადგენლობა კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების რისკს ქმნის. შესაბამისად, ადვოკატმა თავი უნდა შეიკავოს ერთდროულად როგორც გემლფობელის, აგრეთვე, სადაზღვევო კომპანიისთვის საადვოკატო მომსახურების გაწევისგან ერთი და იმავე ან დაკავშირებულ საქმეში.

საქმეში წარმოდგებილი ჰიპოთეტური ფაქტები, კომისიამ ასევე, შეაფასა მოდავე მხარესთან კომუნიკაციის სტანდარტის ფარგლებში:

> ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის ადვოკატი დათანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთან დაკავშირება (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 10.4).

„ადვოკატი ვალდებულია თავი აარიდოს მოწინააღმდეგე მხარესთან ურთიერთობას მისი ადვოკატის გვერდის ავლით, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა შეჯიბრობითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევის საფრთხე დადგეს, რამაც გარკვეულწილად, კანონით გაუთვალისწინებელ, უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენოს ადვოკატის მიერ წარმოდგენილი მხარე, ვინაიდან ადვოკატი აღჭურვილია საქმის წარმოებისათვის საჭირო ცოდნითა და შესაბამისი უნარებით, მას აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს მხარის გამოუცდელობით და კანონის არასათანადო ცოდნით. ხოლო, საქართველოს აპეკ-ის 10.4 მუხლი უზრუნველყოფს დაიცვას „გამოუცდელი" მხარე გამოცდილი ადვოკატის ზემოქმედებისაგან" (ეთიკის კომისიის 15.04.2019 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე 015/19).

მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის მონაწილეობა საქმეში გამოიხატება სადაზღვევო კომპანიის და გემფლობელის ინტერესებისთვის სასურველი შედეგისთვის ბრძოლაში. მ.კ-სთან, როგორც საპირისპირო ინტერესების მქონე პირთან კომუნიკაციისას, მათ შორის კონსულტაციის გაწევისას ადვოკატის ქმედებებმა შესაძლოა მასზე, როგორც გამოუცდელ, იურიდიული განათლების არმქონე პირზე გავლენა მოახდინოს. ეთიკის კოდექსი სწორედ ასეთი შემთხვევებისგან თავის არიდების მიზნით, ადვოკატს ავალდებულებს არ დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით. შედეგად, იმ შემთხვევაში, თუ მ.კ - გარდაცვლილი მეზღვაურის მეუღლე წარმოდგენილი იყო ადვოკატით, ადვოკატი „ბ" არ უნდა დაკავშირებოდა წარმომადგენლის გვერდის ავლით.

ამასთან, წარმოდგენილი ფაქტებით ირკვევა, რომ მოდავე მხარესთან კომუნიკაციით ადვოკატი იღებს საქმესთან დაკავშირებულ ინფორმაციას და გასცემს კონსულტაციებს: „შვილებსა და მეორე ქორწინებიდან მეუღლეს შორის შესაძლო დაპირისპირების გათვალისწინებით, ადვოკატი ცალ-ცალკე შეხვდა და მოისმინა ყველა მხარის პოზიცია სადაზღვევო ანაზღაურებასთან დაკავშირებით...პრეზუმფციის დაძლევის და დანიშნულ ბენეფიციარად ყოფნის მტკიცების ტვირთი გადავიდა მ.კ-ზე, რის შესახებაც მას ეცნობა. მხარეებს ადვოკატმა მისცა რეკომენდაცია, მიემართათ უფლებამოსილი ნოტარიუსისათვის, დადგენილი წესით სამკვიდრო მოწმობების მისაღებად... ადვოკატმა განუმარტა, რომ არ გააჩნდა ქალბატონის Next Of Kin -ად დანიშვნის მტკიცებულება, მაგრამ ასეთი რომც ყოფილიყო, ეს არ იყო საკმარისი, რომ ერთპიროვნულად ყოფილიყო სარგებლის მიმღები სახელშეკრულებო (სადაზღვევო) მოთხოვნიდან. ეს გამოიწვევდა დავას დანარჩენ მემკვიდრეებთან და პროცესი გაიწელებოდა დროში... ადვოკატმა შესთავაზა გამოსავალი, რომ ანაზღაურება განაწილებულიყო ზოგადად, პირველი რიგის მემკვიდრეებს შორის, ურთიერთშეთანხმებით. მ.კ. თავიდან დათანხმდა მესამედი თანხის დათმობაზე, მაგრამ მეორე მხარესთან შეხვედრამდე ადვოკატს დაუკავშირდა საყვედურებით, რომ მას ატყუებდა, რომ მან მიიღო კომპეტენტური კონსულტაცია და საერთაშორისო სამართლით მთელი თანხა მას ეკუთვნოდა...". შედეგად, მხარესთან ასეთი სახის კომუნიკაცია წარმოადგენს არამხოლოდ მოდავე მხარესთან ურთიერთობის მარეგულირებელი წესის დარღვევას, აგრეთვე, ეწინააღმდეგება ინტერესთა კონფლიქტის არიდების პროფესიულ ვალდებულებას.

III დასკვნა:

კომისიის უფლებამოსილებას არ წარმოადგენს შეაფასოს ადვოკატის მიერ შესრულებული იურიდიული მოქმედებების შედეგიანობა და ეფექტიანობა, კერძოდ, განუსაზღვროს ადვოკატს რა სამართლებრივი მექანიზმი უნდა გამოიყენოს და რა უნდა დაგეგმოს მან სამომავლოდ იმისათვის, რომ კლიენტის ინტერესები საუკეთესოდ იყოს წარმოდგენილი. კომისიამ მნიშვნელოვნად მიიჩნია შეეფასებინა შეკითხვაში აღწერილი ფაქტები, რაც ეხებოდა ადვოკატის მიერ ერთდროულად გემფლობელის, როგორც დამსაქმებლისთვის და ამავდროულად, მისი პასუხისმგებლობის დამზღვევის - სადაზღვევო კომპანიისთვის საადვოკატო მომსახურების გაწევას, რაც ეწინააღდეგება ინტერესთა კონფლიქტის ან მისი წარმოქმნის თავიდან არიდების პროფესიულ ვალდებულებას. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ადვოკატმა მოდავე მხარესთან ურთიერთობისას გამოიჩინოს პროფესიული სიფრთხილე, კერძოდ, არ დაუკავშირდეს მას ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ მას ჰყავს წარმომადგენელი. აგრეთვე, ირკვევა, რომ ადვოკატმა მოდავე მხარისგან მიიღო საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია და გაუწია მას სამართლებრივი კონსულტაცია, რის

საფუძველზეც მოდავე მხარემ შეასრულა გარკვეული მოქმედებები და შემდგომ, უკმაყოფილება გამოთქვა ადვოკატის მიერ გაცემულ რჩევაზე, რაც ეწინააღმდეგება ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების ეთიკურ სტანდარტს.

შენიშვნა: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.

კოლეგიის თავმჯდომარე /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი /ანა ხურციძე/